ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №983752

ნომერი: AR1169476

თარიღი : 17.10.2013

გაცემის თარიღი : 14.11.2013

გაცნობის თარიღი : 15.11.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , N 39 , (ნაკვეთი N19/5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ჯიშკარიანი პ/ნ 01003007976
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 95

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1169476 (17.10.2013) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. #39-ში არსებული ავტოგაზგასამართი სადგურის გაზმომარაგების მიზნით გაზსადენი მილის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი #63 (31.10.2013წ.) წერილი შპს „სოვბი-გაზი“-დან არ არის დამაჯერებელი დასკვნა, რადგანაც ფოტოსურათებიდან როგორც დგინდება, საპროექტო ტრაექტორია საკმაოდ მაღლა გადის მდინარის დონიდან და შეასაძლებელია მოხდეს მისი ძირითადად მიწის ქვეშ განლაგება. ხოლო იმ ადგილებზე, სადაც ტექნიკურად ვერ განხორციელდება მისი განლაგება, შესაძლებელია შესაბამისი დასკვნა/დასაბუთება გაკეთდეს აღნიშნულის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ამ პრინციპით იქნება წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, სამსახური თავიდან განიხილავს საკითხს ახალი განაცხადის საფუძველზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.